საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1189 2024 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ – საქართველოს ეროვნული ბანკისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისში, დიმიტრი გულიას ქუჩაზე, №3-ში მდებარე 13421 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (მშენებარე), საერთო ფართით – 25873.9 კვ/მ (მიწის (უძრავი ოქნების) ს/კ: №01.18.09.004.086) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 28 669 365 (ოცდარვა მილიონ ექვსას სამოცდაცხრა ათას სამას სამოცდახუთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს სსიპ – საქართველოს ეროვნულ ბანკს (ს/ნ: 203824148).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის – 28 669 365 (ოცდარვა მილიონ ექვსას სამოცდაცხრა ათას სამას სამოცდახუთი) ლარის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 60 (სამოცი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე სსიპ – საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობ(ებ)ის აშენება (რაც ასევე შეიძლება მოიცავდეს უძრავი ქონების ან მისი ნაწილის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით განხორციელებულ დემონტაჟს) და შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე